რატომ გადავწყვიტეთ ყოველწლიური ფოტოწიგნის გამოცემა

ნებისმიერი ფოტოგრაფიული გაერთიანებისთვის აუცილებელი და პრესტიჟულია, ჰქონდეს წევრ ფოტოგრაფთა ნამუშევრების ფოტოწიგნი, რომელიც ერთგვარი სავიზიტო ბარათია როგორც თავად ასოციაციისთვის, ისე ფოტოგრაფისთვის, წარმოაჩინოს და გააცნოს თავისი შემოქმედება ფართო აუდიტორიას როგორც თავის ქვეყანაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. გვსურს, ეს პრაქტიკა უკვე ჩვენს ასოციაციაშიც გადმოვიტანოთ და გამოვცეთ ისეთი ფოტოწიგნი, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივ თუ საერთაშორისო საზოგადოებას, დელეგაციებს, სტუმრებს, უცხოელ მასპინძლებს და საერთაშორისო ფოტოგაერთიანებებს გავაცნობთ ჩვენ წევრთა შემოქმედებას.

თავის მხრივ, ნებისმიერი ფოტოგრაფისთვის, დამწყები იქნება ის თუ უკვე მრავალი ჯილდოს და მიღწევის მფლობელი, ძალიან პრესტიჟულია, წარმოდგენილი იყოს კორპორატიულ ფოტოწიგნში, სადაც მის ფოტოგრაფიულ მიღწევებთან ერთად მისი საუკეთესო ნამუშევრები იქნება განთავსებული.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია, როგორც ორგანიზაცია, სხვადასხვა პრესტიჟული საერთაშორისო ფოტოგაერთიანების (FEP, FIAP) წევრი გახდა. სფა მჭიდროდ თანაშრომლობს უცხოურ პარტნიორ ფოტოგაერთიანებებთან, ხოლო ასოციაციის წევრები ასევე არიან უცხოური ფოტოასოციაციების და გაერთიანებების წევრები. სამწუხაროდ, დღემდე არ გვქონია შესაძლებლობა, ასოციაციას და მის წევრებს ასეთი ვიზიტებისას საპასუხო საჩუქრად გადაგვეცა ნაციონალური ფოტოწიგნი. თავის მხრივ, არც წევრ ფოტოგრაფებს ჰქონდათ შესაძლებლობა, სხვადასხვა უხოურ ფოტოგრაფიულ ღონისძიებებში მონაწილეობისას საკუთარი ნამუშევრები ასეთი ფოტოწიგნის მეშვეობით გაეცნოთ საზოგადოებისთვის. ამიტომაც, დადგა დრო, ერთ წიგნად გამოვცეთ და ყოველწლიურად განვაახლოთ ჩვენი წევრების შემოქმედება და ამით ხელი შევუწყოთ მათ წარმატებას და ცნობადობის გაზრდას ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე. შესაბამისად, გაიმართება ფოტოწიგნის პრეზენტაცია და მასში შესული ავტორების ნამუშევრების ფოტოგამოფენა.

ფოტოწიგნის ელექტრონული ვერსია ასევე განთავსდება ვირტუალურ სივრცეში და დაეგზავნება საერთაშორისო ფოტოსაზოგადოებებს ბმულის სახით.

ამიტომაც, სიამოვნებით გაცნობებთ, რომ

2019 წლიდან სფა იწყებს ყოველწლიური ფოტოწიგნის გამოშვებას.

სფა-ს სამხატვრო საბჭომ უკვე შეიმუშავა ფოტოწიგნის კონცეფცია, კრიტერიუმები და მოთხოვნები, რომელსაც სიამოვნებით წარმოგიდგენთ.

მაშ ასე:

ფოტოწიგნის სტრუქტურა

102-გვერდიანი ფოტოწიგნი მაგარი ყდით და ზომით 21X23 სმ იქნება. გამოიცემა 500-ცალიანი ტირაჟით.

ფოტოწიგნი მთლიანად ფინანსდება თავად წიგნში შესული ავტორების მიერ და მასში ავტორის ნამუშევრები ხვდება მხოლოდ კონკურსის წესით (კონკურსის ჟიური შედგება სფა-ს სამხატვრო საბჭოსგან).

ფოტოწიგნის ერთიანი დიზაინის შენარჩუნებისთვის, ასევე, შეძენილ გვერდ(ებ)ზე ავტორისთვის განსათავსებელი ფოტოების შერჩევის გაადვილების მიზანით შემუშავებულია 1-, 2-, 3- და 4-ფოტოიანი შაბლონები. ავტორის მიერ შეძენილ გვერდზე მის ფოტონამუშევრებთან ერთად ასევე განთავსდება ავტორის პერსონალური ფოტო და მისი ფოტოგრაფიული მიღწევების მოკლე ანოტაცია.

სფა-ს თითოეულ წევრს შეუძლია შეიძინოს ფოტოწიგნში ადგილი ერთიდან ოთხ გვერდამდე წინასწარ შერჩეული შაბლონ(ებ)ის მიხედვით.

ფოტოწიგნში ადგილის შეძენის პირობები და ფასები

ფოტოწიგნში ავტორის მიერ მისი ფოტონამუშევრების განთავსების მიზნით ერთი გვერდის შეძენის ფასი არის 55 ლარი. შესაბამისად, ავტორს ერთი ცალი ფოტოწიგნი გადაეცემა უფასოდ, დამატებითი ეგზემპლარების შეძენა შესაძლებელია. დამატებით ერთდროულად 5 ცალამდე შეძენის შემთხვევაში ერთი წიგნის ფასი: 20 ლარი, 5-დან 10 ცალამდე შეძენისას ცალის ცალის ღირებულება: 18 ლარი, 10 და მეტი მეტის შეძენისას ცალი წიგნის ფასი - 15 ლარი.

ფოტოწიგნში გვერდის შეძენისას (წინასწარ შერჩეული შაბლონის მიხედვით) პირველ გვერდზე ფოტონამუშევრებთან ერთად განთავსდება ავტორის პერსონალური ფოტო და მისი ფოტოგრაფიული მიღწევების მოკლე ანოტაცია, ხოლო დანარჩენ გვერდ(ებ)ზე - მხოლოდ მისი ფოტონამუშევრები. ორი ან მეტი გვერდის შეძენისას შესაძლებელია სხვადასხვა შაბლონის არჩევა.

ავტორის მიერ ფოტოწიგნში განსათავსებელი ფოტოების შერჩევა მის მიერ შეძენილ გვერდ(ებ)ზე ხდება მხოლოდ ფოტოკონკურსის წესით. წესების დარღვევა გამოიწვევს ავტორის დისკვალიფიკაციას ფოტოწიგნთან მიმართებაში.

ფოტოწიგნში ფოტოების შესარჩევი კონკურსი

ვინ დაიშვება კონკურსში

ფოტოწიგნში ავტორის მიერ გვერდის შეძენისას, მის მიერ წინასწარ შერჩეული შაბლონის მიხედვით, ცხადდება ფოტოების შესარჩევი კონკურსი (შემდგომში "კონკურსი"). მასში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის მოქმედ (საწევროს დავალიანების არმქონე) წევრს (შემდგომში "ავტორი"), რომელიც ეწევა სამოყვარულო და პროფესიონალურ ფოტოგრაფიულ საქმიანობას მინიმუმ ბოლო ერთი წლის განმავლობაში და არის წარმოდგენილი ნამუშევრების ავტორი.

საკონკურსო განაცხადის წარდგენა:

ავტორი ავსებს სპეციალურ კითხვარს, რომელშიც უნდა მიუთითოს სახელი, გვარი ან ფსევდონომი (რა სახელითაც სურს იყოს წარმოდგენილი ფოტოწიგნში), ასევე კითხვარში წერს მოკლე ფოტოგრაფიულ რეზიუმეს (მისი მნიშვნელოვანი მიღწევები ფოტოგრაფიის ჟანრში, ჯილდოები (სერტიფიკატები, მედლები, საკვალიფიკაციო წოდება და ა.შ. (არაუმეტეს 50 სიტყვა)) და აგზავნის პერსონალურ ფოტოს (ფინალურ ეტაპზე).

ავტორი როგორც საკუთარ ნამუშევრებს, ასევე შევსებულ კითხვარს და პერსონალურ ფოტოს აგზავნის ემაილზე apg.catalogue@gmail.com.

ყურადღება! ფოტოწიგნთან დაკავშირებული ნებისმიერი კითხვა იგზავნება მხოლოდ აღნიშნულ ემაილზე. დაუშვებელია რაიმე საკითხის განხილვა სამხატვრო საბჭოს ცალკეულ წევრთან ინდივიდუალურად!

ემაილის სათაურში (subject) მითითებული უნდა იყოს ”ფოტოწიგნის კონკურსი”

ემაილის ტექსტში მითითებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი

მიბმული ფაილი უნდა შეიცავდეს ავტორის მიერ შევსებულ კითხვარს.

ფოტონამუშევრების წარდგენა

ავტორი მითითებულ ემაილზე, ამ კონკურსის პირობების შესაბამისად, გზავნის ფოტოწიგნისთვის განკუთვნილ ნამუშევრებს თავდაპირველად საკონკურსო წესით შერჩევის მიზნით.

ჟანრი თავისუფალია. დაიშვება როგორც ფერადი, ისე შავ-თეთრი ფოტოები.

ერთ გვერდზე ერთფოტოიანი შაბლონის (გარდა ავტორის პერსონალური ფოტოსი) არჩევის შემთხვევაში ავტორი აგზავნის 3 ფოტონამუშევარს.

ერთ გვერდზე 2-ფოტოიანი შაბლონის (გარდა ავტორის პერსონალური ფოტოსი) არჩევის შემთხვევაში ავტორი აგზავნის 4 ფოტონამუშევარს.

ერთ გვერდზე 3-ფოტოიანი შაბლონის (გარდა ავტორის პერსონალური ფოტოსი) არჩევის შემთხვევაში ავტორი აგზავნის 6 ფოტონამუშევარს.

ერთ გვერდზე 3-ფოტოიანი შაბლონის (გარდა ავტორის პერსონალური ფოტოსი) არჩევის შემთხვევაში ავტორი აგზავნის 9 ფოტონამუშევარს.

ყოველ დამატებით გვერდზე მოქმედებს იგივე სქემა (თუ ავტორი იძენს ორ გვერდს, შესაბამისად, აგზავნის გაორმაგებული რაოდენობის ფოტოებს და ა.შ.).

ავტორი ვალდებულია, მიუთითოს თითოეულ შეძენილ გვერდზე მის მიერ შერჩეული შაბლონის ნომერი და ფოტოების განლაგება.

თითოეულ ავტორს შეუძლია შეიძინოს ფოტოწიგნში ერთიდან ოთხ გვერდამდე, მაგრამ არაუმეტეს 4 გვერდისა.

იმ შემთხვევაში, თუ ავტორის მიერ გამოგზავნილი ფოტოებიდან ვერ შეირჩა გვერდისთვის და ავტორის მიერ შერჩეული შაბლონის რაოდენობის ფოტოები, ავტორს ეგზავნება შეთავაზება, მითითებულ ვადებში წარმოადგინოს დამატებითი ფოტოები ან/და ეცნობება, წარმოდგენილი რაოდენობის მიხედვით რა შაბლონით დაიბეჭდება მისი გვერდი. პირველი ეტაპის გადალახვის შემთხვევაში ავტორს ეგზავნება შეტყობინება შერჩეული ფოტოების შესახებ და ვადა შერჩეული ფოტოების საბეჭდი ფოტოების გამოგზავნის თაობაზე.

კონკურსის დასრულების შემდეგ ხდება საფასურის გადახდა. მხოლოდ საფასურის გადახდის შემდეგ თითოეულ ავტორს წარედგინება მისი გვერდ(ებ)ის მაკეტი ინდივიდუალურად. ავტორის მიერ

ფოტოწიგნში მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში მისი გვერდი წიგნში აღარ დაიბეჭდება, მაგრამ გადახდილი საფასური უკან არ ბრუნდება.

სავალდებულოა, მითითებული იყოს ავტორის პერსონალური სახელი და გვარი (ან ფსევდონიმი) და არა კომერციული სახელწოდება. ფოტოსტუდიის ან ფოტოსაქმიანობასთან დაკავშირებული კომერციული სახელწოდების ფოტოწიგნში განთავსების სურვილის შემთხვევაში გთხოვთ იხილოთ პუნქტი "ფასები".

საკონკურსო ფოტონამუშევრების ზომები:

საკონკურსო შერჩევის მიზნით, ავტორმა კონკურსის პირველ ეტაპზე უნდა გამოაგზავნოს ფოტოები ზომით: დიდი მხარე 800 პიქსელი. ფოტოს ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 500 კბ-ს. ამ ზომების დარღვევის შემთხვევაში საკონკურსო ნამუშევრები არ განიხილება და ავტორს გაეგზავნება შეტყობინება, წარმოადგინოს საკონკურსო ფოტოები ამ აბზაცში მითითებული ზომების დაცვით.

დაუშვებელია ფოტოს ფაილის სახელში ავტორის მითითება.

სასურველია, ფოტოს ჰქონდეს სახელწოდება. სახელწოდების არქონის შემთხვევაში ფოტო წიგნში დაიბეჭდება სახელწოდების გარეშე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ უნდა გქონდეთ გამოგზავნილი ფოტოს საბეჭდი ზომაც და ასევე დედანი ფაილიც, რათა ეს უკანასკნელი წარმოადგინოთ ჟიურის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.

ჟიურის მიერ შერჩეული და ფოტოწიგნში დასაბეჭდად განკუთვნილი ფოტოს საბეჭდი ზომა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

• 3500 პიქსელი დიდი მხარე

• ფორმატი: jpeg 12

• მიბმული ფერის პროფილი sRGB ან Adobe 1998.

ფოტოები არ უნდა შეიცავდეს სარეკლამო, ტექსტურ წარწერებს ან გრაფიკულ ელემენტებს, რაც არ წარმოადგენს კომპოზიციის ორიგინალურ ნაწილს. ტექსტის შემცველი ფოტოები მომენტალურად დისკვალიფიცირდება.

მონაწილეობის მსურველი ავტორი ვალდებულია, წარმოადგინოს საკუთარი ორიგინალური ნამუშევარი და ფლობდეს საკუთარ ნამუშევრებთან დაკავშირებულ საავტორო უფლებებს; ან საავტორო უფლების მფლობელისგან უნდა ჰქონდეს უფლება, ჩართოს თავისი ფოტოები კონკურსში;

ნამუშევრები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

გამომსახველობა
კრეატიულობა
ტექნიკური შესრულება
კომპოზიცია

ჟიური:

ჟიური შედგება სფა-ს სამხატვრო საბჭოს წევრებისგან, რომლებიც ამავდროულად წარმოადგენენ ფოტოწიგნის სარედაქციო კოლეგიას. ჟიური ანონიმურობის სრული დაცვით განიხილავს და შეარჩევს ფოტოებს.

ვადები:

ფოტოწიგნთან დაკავშირებული კონკურსი ცხადდება 4 თებერვლიდან.

ფოტონამუშევრების წარდგენის ვადა პირველ ეტაპზე: 14 თებერვლამდე.

ჟიურის მუშაობის ვადა: 15-18 თებერვალი.

ავტორები შეტყობინებას მიიღებენ 20 თებერვალს.

კონკურსის მეორე ეტაპი (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ფოტოების წარდგენის მიზნით) გაგრძელდება 25 თებერვლამდე.

ჟიურის მუშაობის ვადა მეორე ფინალურ ეტაპზე - 1-3 მარტი.

თითეული ავტორისთვის შეტყობინება ფოტოწიგნში მის მიერ შეძენილ გვერდ(ებ)-ზე შერჩეული ფოტოების შესახებ შერჩეული შაბლონების მიხედვით 5-6 მარტს.

ავტორის მიერ საფასურის გადახდა ხდება ამ პროცედურის დასრულების შემდგომ.

ფასები:

ფოტოწიგნში ერთი გვერდის შეძენის ფასი არის 55 ლარი.

კომერციული ხასიათის სარეკლამო გვერდი ფოტოწიგნში (სტუდიის ან სხვა კომპანიის დასახელება, ლოგოტიპი, სარეკლამო ტექსტი, ფოტოები და ა.შ.):

- სფა-ს წევრებისთვის ერთი გვერდის ფასი - 200 ლარი
- კომპანიებისთვის - ერთი გვერდის ფასი - 500 ლარი

შესაძლებელია ერთზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 4 გვერდის შეძენა. ავტორს ერთი ცალი ეგზემპლარი გადაეცემა უფასოდ.

სფა-ს წევრებისთვის: ბეჭდური სახით ფოტოწიგნის ერთდროულად 5 ცალამდე შეძენის შემთხვევაში ერთი წიგნის ფასი: 20 ლარი, 5-დან 10 ცალამდე შეძენისას ცალის ღირებულება: 18 ლარი, 10 და მეტი მეტის შეძენისას ცალი წიგნის ფასი - 15 ლარი.

არაწევრებისთვის - ერთი ფოტოწიგნის ფასი 35 ლარი.

საავტორო უფლებები და ნებართვები (რელიზები):

ყველა წარდგენილ ფოტოზე საავტორო უფლება უნარჩუნდება ამ უფლების მფლობელს. თუმცა, სფა იტოვებს უფლებას, ნებისმიერი წარდგენილი ფოტო, ანაზღაურების გარეშე, გამოიყენოს ჩვენებისა და

საჯარო მიზნებისთვის სფა-ს მიმდინარე და მომავალ დაჯილდოვებებსა და პროექტებში. ნამუშევრის წარდგენამდე, სასურველია, ავტორს ჰქონდეს შემკვეთის ან საავტორო უფლების მფლობელის ნებართვა და მოდელის შესაბამისი ნებართვის ფორმა (რელიზი) საჭიროების შემთხვევაში. თუ ასეთი ნებართვა ავტორს არ გააჩნია, პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება ავტორს.

სავალდებულო მოთხოვნები:

ფოტოწიგნში მოხვედრის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის წევრს, რომელსაც როგორც განაცხადის წარდგენის, ისე ფოტოწიგნის გამოცემის პერიოდში არ უნდა ერიცხებოდეს საწევრო დავალიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი განაცხადი არ მიიღება/დისკვალიფიცირდება.

ავტორი ვალდებულია, სფა-ს პორტალზე განთავსებული ჰქონდეს პროფილის ფოტო და პერსონალურ გალერეაში არანაკლებ 10 ფოტოსი მაინც.

ავტორი დისკვალიფიცირდება, თუკი:

*** წარმოდგენილი ფოტოები არ შეესაბამება ამ წესებს;**

*** საფასური არაა გადახდილი;**

გისურვებთ წარმატებებს!